



საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა  
(ფაკულტეტი)  
ფილოლოგიის მიმართულება

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა  
„ქართული ლიტერატურის ისტორია“

*ხელნაწერის უფლებით*

მაია მენტეშაშვილი

ბიბლიური მოდელები მეოცე საუკუნის  
70-იანი წლების ქართულ რომანში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

თბილისი  
2016

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა კვაჭანტირაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: ინგა მილორავა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
თამარ პაიჭაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის 20 ივნისს 16 საათზე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 53 ა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზი (IV სართული).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2016 წლის 30 მაისს.

სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ნინო მამარდაშვილი

## სარჩევი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება .....	5
თემის აქტუალურობა .....	5
კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები .....	6
ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები.....	7
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები .....	7
ნაშრომის თეორიული ღირებულება .....	7
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა .....	8
სტრუქტურა და მოცულობა .....	8
ნაშრომის ძირითადი შინაარსი .....	9
შინაარსი .....	9
თავი I. საკითხის ისტორიისათვის .....	9
თავი II. ძველი აღთქმისეული მოდელები მეოცე საუკუნის 70-იანი წლების რომანში (ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“) .....	10
2.1. ნოეს მხატვრული მოდელი ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ .....	10
2.2. დრო-სივრცის ბიბლიური კონტაქციები ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ .....	11
2.2.2. გზის სიმბოლიკა .....	12
2.2.3. ცის სიმბოლიკა .....	13
2.2.4. გომური .....	14
2.2.5. პურის სემანტიკა .....	14
2.2.6. დროის სიმბოლიკა .....	14
2.2.7. საათი .....	15
2.2.8. მამალი .....	15
2.2.9. ირემი .....	16
2.3. ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“. სათაურის სემიოტიკა .....	16
თავი III. „ძე შეცთომილის“ მოდელები 70-იანი წლების რომანში .....	17

3.1. ალექსანდრე – უძღები შვილი (ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“) .....	18
3.2. დომენიკო – უძღები შვილი (გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“) .....	19
3.3. უძღები ძის ოდისეა (ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“) .....	20
3.3.1. ტოტალიტარიზმის ახალი ღმერთი და ადამიანის სულის დესტრუქცია .....	20
3.3.2. ბაჩანა რამიშვილის სულიერი ოდისეა .....	21
3.3.3. სიზმრები .....	22
3.3.4. დრო და მარადისობა .....	23
თავი IV. ბიბლიური კონოტაციებ (ჯემალ ქარჩხაძის „მდგმური“) .....	24
4.1. დაკარგული სამოთხის კონცეპტი .....	24
4.1.1. გზისა და დროის სიმბოლიკა .....	25
თავი V. არქეტიპული მოდელები ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ .....	27
ძმათა დაპირისპირების არქეტიპული მოდელი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ .....	27
5.5.1. გრაფი სეგედის სახარებისეული კონოტაციები .....	28
5.2. შვილისაგან მამის „განწვალვის“ მოტივი .....	28
5.3. არქიფო სეთური – აპოკალიპტური მხეცი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ მიხედვით .....	30
დასკვნა .....	31
სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა .....	34

# ნაშრომის ზოგადი დახასიათება

## თემის აქტუალურობა

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ბიბლიური მოდელების მხატვრული ტრანსფორმაციის თავისებურებები მეოცე საუკუნის 70-იანი წლების ქართულ რომანში. კვლევა ჩატარდა ოთარ ჭილაძის („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“), ნოდარ დუმბაძის („მარადისობის კანონი“), ჭაბუა ამირეჯიბის („დათა თუთაშხია“), გურამ დოჩანაშვილის („სამოსელი პირველი“), ჯემალ ქარჩხაძის („მდგმური“) რომანებზე.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე ბიბლიურ-არქექტიპული მოდელი, რომელთა მხატვრული გარდასახვა თანამედროვე კულტურული და ცნობიერებითი სივრცის მოწესრიგებისა და ეროვნულ ღირებულებათა აღდგენის აუცილებლობამ განსაზღვრა.

ქართული ლიტმცოდნეობა ათწლეულების განმავლობაში მოკლებული იყო მწერლობაში რელიგიური თემატიკის მეცნიერული დამუშავების შესაძლებლობას საბჭოთა რეჟიმის ათეისტული იდეოლოგიური წნეხის გამო. ბიბლიური მოდელების რეტრანსლაციით მწერლობამ შეძლო იმ მარადიული ცოდნის მკითხველამდე მიტანა, რომელიც ბიბლიურ ტექსტებში – ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებში, პარადიგმებში, არქექტიპულ სახეებშია კოდირებული.

50-იანი წლებიდან იწყება ეროვნული და კულტურული გადაგვარების საფრთხის გაცნობიერება და ამ რეალობის წინააღმდეგ ფარული, იშვიათად კი – აშკარა დაპირისპირება. დაპირისპირებისთვის მზაობა უშეღავათო პრინციპულობით, სხვადასხვა სახითა და ფორმით მკაფიოდ გაცხადდა როგორც მხატვრულ, ისე კრიტიკულ შემოქმედებაში. ამ ამოცანის კონტექსტში, 70-იანი წლების მწერლობაში (ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯემალ ქარჩხაძე) ბიბლიური მოდელების მხატვრული რეტრანსლაცია, ქრონოტოპისა და კულტურული გარემოს თავისებურების გამო, უმთავრეს მხატვრულ მეთოდად იქცევა.

კვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ამ მოდელების მეშვეობით იდეოლოგიური ცენზურის პირობებში მწერლობა, როგორც ნაციონალური თვითგამოხატვის შემოქმედებითი ფორმა, მონაწილეობდა პიროვნების ნაციონალურ-კულტურული და ისტორიული თვითიდენტიფიკაციის პროცესში. ბიბლიის რეტრან-

სლაციის ტენდენცია განსაკუთრებით დამახასიათებელია საზოგადოების ისტორიული განვითარების გარკვეული ეტაპებისთვის და მოწმობს საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებას, დაუპირისპირდეს ნიველირების პროგრესირებად ისტორიულ პროცესს.

## კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

ნაშრომის მიზანი იყო, გაგვეანალიზებინა და შეგვეფასებინა მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ქართულ რომანში გამოყენებული ბიბლიური (ძველი და ახალატექმისეული) მოდელების მხატვრულ ვერსიად გარდაქმნის პროცესი. მითოსური და ბიბლიური სიუჟეტების, მოდელების გამოყენების არეალი დაუსაზღვრელია. მწერლები მას იყენებენ პაროდირებითა თუ ციტირებით, არქეტიპების, პარალელიზმების, ასოციაციების სახით, რათა ხაზი გაესვას მოვლენათა ტიპურობას, მარადქმნადობას, მუდმივობას; კაცობრიობის მახსოვრობაში შემორჩენილ ზეჭეშმარიტებას და მარადიულ ღირებულებებს.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ქართულ რომანში აღნიშნული მოდელები წარმოადგენენ პარადიგმულ სტრუქტურებს, რომლებშიც აისახება ცნობიერების დამოკიდებულება სამყაროში ადამიანის ეგზისტენციალური და სოციოკულტურული სტატუსის მიმართ.

ბიბლია, როგორც სპეციფიკური „ენა“, შეიცავს დაშიფრულ ინფორმაციას იმ ფარულ სტრუქტურებზე, რომლებიც კოლექტიურ არაცნობიერს წარმართავენ. 70-იანი წლების ქართულ რომანში მხატვრულად ტრანსფორმირებულმა აღნიშნულმა მოდელებმა განსაზღვრა ეროვნული ცნობიერების ღირებულებითი ორიენტირები, თვითშეფასება, მომავალზე პროექცია და ა.შ.

საკვალიფიკაციო ნაშრომის კვლევისას გამოიკვეთა, რომ ამ პერიოდის მწერალთა რომანებში (ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემთან მპოვნელმან“, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, ჯემალ ქარჩხაძის „მდგმური“) არაერთი ძველი და ახალატექმისეული მითოლოგემა, არქეტიპული სიუჟეტი, სინტაქსური კონსტრუქცია, ასოციაციური და მეტაფორული სახეა გამოყენებული.

## **ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები**

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მწერლობას მე-20 საუკუნის არცერთ ეტაპზე არ უთქვამს უარი ბიბლიური და მითოსური მოდელების გამოყენებაზე, 70-იანი წლები ამ თვალსაზრისით მაინც განსაკუთრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბიბლიისა და მითოსური სტრუქტურების კვლევას არცთუ ხანგრძლივი ისტორია აქვს; რაც შეეხება ბიბლიურ მოდელებს 70-იანი წლების ქართულ რომანისტიკაში, ამგვარი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.

ნაშრომის მნიშვნელობა გამოიკვეთა კვლევის პროცესში; მან გამოავლინა განხილული მოდელების კულტურული ფუნქცია, მხატვრული ზემოქმედების ძალა, მათი როლი პიროვნული და ეროვნული იდენტიფიკაციის პროცესში; ასევე კულტურის ტრადიციული ტექსტის მოწესრიგებაში, დარღვეული სტრუქტურების განახლება-აღდგენაში.

## **კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები**

კვლევისას გამოვიყენეთ სემიოლოგიური მეთოდოლოგია (ნიშანთა სისტემის კუთხით ტექსტები განვიხილეთ, როგორც ესთეტიკურ ნიშანთა სისტემები, რომლებიც ცხადყოფენ მათ მიღმა არსებულ მენტალურ მოდელებსა და სტრუქტურებს) და ყველა ის ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდი (მაგალითად, სახეთა გენეზისისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდი), რომელიც ხელს შეგვიწყობდა მხატვრული ხატების მნიშვნელობათა სრული სპექტრის წარმოჩენაში.

## **ნაშრომის თეორიული ღირებულება**

ბიბლიური მოდელების მხატვრული რეტრანსლიაციის კვლევას ათწლეულების განმავლობაში ყურადღება არ ექცეოდა. მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიქმნა ნაშრომები ამ მიმართულებით. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომი შეავსებს ამ ხარვეზს და გარკვეულ სიცხადეს შესძენს თანამედროვე ტექსტების ბიბლიურ ტექსტებთან ურთიერთმიმართების თემას.

## ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა, როგორ ჩამოიქნებიან ბიბლიური მოდელები, როგორც პარადიგმული სტრუქტურები, მხატვრულ სახეებად.

ნაშრომი დაეხმარება ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს), მეცნიერებსა და მკვლევარებს, რომელნიც დაინტერესებული არიან ბიბლიური მოდელების ლიტერატურულ ტექსტებთან ურთიერთმიმართების საკითხებით.

## სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 159 გვერდს. ნაშრომში დასმულმა პრობლემატიკამ და საკვლევი მასალის თავისებურებამ განსაზღვრა დისერტაციის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შესავალს, ხუთ თავს, პარაგრაფებს, ქვეთავებს, დასკვნას, ანოტაციებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

სადისერტაციო ნაშრომის

თავი I – საკითხის ისტორიისთვის – არ მოიცავს პარაგრაფებს;

თავი II – ძველი აღთქმისეული მოდელები მეოცე საუკუნის 70-იანი წლების რომანში. ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მშოვნელმან“ – მოიცავს ორ პარაგრაფს (პირველი პარაგრაფი – ცხრა ქვეთავს; მეორე პარაგრაფი – ერთ ქვეთავს);

თავი III – ძე შეცთომილის მოდელები 70-იანი წლების რომანში – შედგება სამი პარაგრაფისაგან (მათგან, მესამე პარაგრაფი ოთხი ქვეთავისაგან შედგება);

თავი IV – ბიბლიური კონოტაციები (ჯემალ ქარჩხაძის „მდგმური“) – მოიცავს ერთ პარაგრაფსა და ერთ ქვეთავს.

თავი V – არქეტიპული მოდელები ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ – მოიცავს სამ პარაგრაფს (მათგან, პირველ პარაგრაფში ერთი ქვეთავია).



# ნაშრომის ძირითადი შინაარსი

## შესავალი

შესავალში წარმოდგენილია ნაშრომის ძირითადი მიზნები და ამოცანები, კვლევის აქტუალობა; ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მეთოდოლოგიური საფუძვლები; ნაჩვენებია სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ავტორისა და ტექსტის ურთიერთმიმართების ზოგიერთი, საკვლევი თემისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი.

## თავი I

### საკითხის ისტორიისთვის

დისერტაციის პირველ თავში წარმოდგენილია ქართული ლიტერატურის გენეზისი ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან მიმართებით. რა ტენდენციები გაითავისა მეოცე საუკუნის ლიტერატურამ ჰაგიოგრაფიული ტექსტებიდან.

ქართულ სინამდვილეში ბიბლიური და მითოსური სტრუქტურების გამოყენება, ზოგადი ტენდენციების გარდა, გამოწვეული იყო აქტუალური ეროვნულ-კულტურული და ზნეობრივი პრობლემებით. ამ მოდელების ინტენსიური დამუშავება მეოცე საუკუნეში სულიერი და ფიზიკური გადარჩენის ტოლფასი იყო, რადგან კომუნისტური აგრესიით შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ყოველივე ეროვნულს, სულიერს, ტრადიციულს წაღვეკვით დაემუქრა. ბიბლიის სიღრმე, აზრობრივ-შემეცნებით შრეებში დაუნჯებული საიდუმლო იგავური ენის გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა, რაც, ერთი მხრივ, შემოქმედს შესაძლებლობას აძლევდა, გამოეხატა საკუთარი ფარული სათქმელი და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად აეცილებინა არსებული რეალობით შექმნილი კონიუნქტურულობის საფრთხე.

კულტურულ სივრცეში შემოქმედის, მწერლის სათქმელი განიტოტება იდეოლოგიურ, ეგზისტენციალურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ დისკურსებად. კოდირებული ინფორმაცია მოექცევა მხატვრულ სახეებში, სიუჟეტებში, დროისა და სივრცის ორგანიზების მეთოდში, მცირე ესთეტიკურ სტრუქტურებში, იდიომებში და ა.შ.

მეოცე საუკუნის 70-იან წლების ქართულმა მწერლობამ აზროვნების ვექტორი კაცობრიობისა და კერძოდ ადამიანის ისეთი სასი-

ცოცხლოდ მნიშვნელოვანი საფიქრალისაკენ მიმართა, როგორებიცაა: მიტოვებულობის განცდა, მარტოსულობით გამოწვეული სულიერი სიცარიელე, რწმენაში დაეჭვება, რწმენის სიმცირით გამოწვეული სკეფსისი.

70-იან წლებში მხატვრული აზროვნების ასპარეზს იპყრობს ქართული რომანი, რომელიც დეფორმირებული კულტურული და იდეოლოგიური სივრცის მოწესრიგების პროცესში ებმევა. მას წინა პლანზე გამოაქვს ჭეშმარიტი სულიერი ღირებულებები და ტრადიციული ცოდნა.

ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ჯემალ ქარჩხაძისა და სხვათა ლიტერატურულ ტექსტებში ადამიანი წარმოჩენილია არა ოდენ კონკრეტულ დროსა და სივრცეში, არამედ ზედროულ, ზესივრცულ, მარადისობის კონტექსტში.

## თავი II

### ძველი აღთქმისეული მოდელები მეოცე საუკუნის

#### 70-იანი წლების რომანში

##### ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია სამი პარაგრაფი:

1) ნოეს მხატვრული მოდელი ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“;

2) დრო-სივრცის ბიბლიური კონოტაციები ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“;

3) ოთარ ჭილაძე. სათაურის სემიოტიკა.

### 2.1. ნოეს მხატვრული მოდელი ოთარ ჭილაძის რომანში

#### „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“

ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ნოე ქაიხოსროს მიერ არასწორად „წაკითხული“ არქეტიპია.

ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ იდეური თუ მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებული მასშტაბის ტექსტია. ფსიქო-სოციალური თემები, ბიბლიური მოდელები განსაცვიფრებლად ინტეგრირდება ერთმანეთთან და თავისთავად ბადებს

რეციპიენტის (მკითხველის) არამხოლოდ თვითრეფლექსიას, არამედ ნარატივის სხვადასხვა რაკურსით წაკითხვის მოთხოვნილებას.

ნოეს, რომელიც ბიბლიის მიხედვით, ახალი კაცობრიობის წამომწყებად, სათავის დამდებად ითვლება (ადამის შემდეგ), ოთარ ჭილაძის ქაიხოსრო თავის წინამორბედად მიიჩნევს, თუმცა რომანის კითხვისას არაეთვზის ვლინდება პროტაგონისტის კვაზინოეობა.

ქაიხოსრო-ნოეს კორელაციაში ქაიხოსრო ანტინოეა თავისი გამრუდებული ზნეობრივ ღირებულებათა აღრევის გამო.ნოე კაცობრიობის გადამრჩენელ კიდობანს აშენებდა, ქაიხოსრო საკუთარი ძირგამომპალი და სხვათა სულიერებისა და ხორციელების დამხშობ-გამანადგურებელი კიდობნის „მშენებელია“. ბიბლიური ნოე ღვთისმოსაობის გამო გადაურჩა საყოველთაო წარღვნის წყლებს, ქაიხოსროს არასოდეს დაუმტკიცებია, რომ გადარჩენას იმსახურებდა.

ქაიხოსროსთვის მთავარი გადარჩენაა და საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებაზე მაფიქრალისთვის სიკვდილი ესქატოლოგიური დასასრულის ტოლფასია. მისი ვიტალური ენერგია ეგოცენტრიზმის დაკმაყოფილებას ხმარდება. მას განუწყვეტელი დაფარული კონფლიქტი აქვს ნოესთან, რომლის სახელთან ხშირი აპელირებით უკეთ იკვეთება მისი ლაჩრობა, არამართლობა. მწერალი ამით შესაძლებლობას გვაძლევს, უკეთ გავიაზროთ ქაიხოსროს სახე და ნოედ ქაიხოსროს ანტიპოდის ჭემმარტი მხატვრული და მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა.

ქაიხოსრო ნოეს გარდა გარკვეულ კორელაციაშია კაენთანაც. რომანში ღვთის სიტყვის ადეპტი, ზოსიმე მღვდელი, ფრაზით: „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე“, ქაიხოსროს მიანიშნებს მის კაენიტურ წარმომავლობაზე. ამ სიტყვებით მაიორ ქაიხოსრო მაკაბელს ეცნობება, რომ ის მკვლელია, მომსვრელია ყოველგვარი სიკეთისა. ქაიხოსროს მიერ განვლილი გზა, რომელიც ლაბირინთული სტრუქტურისაა, ბიბლიური კაენის უთავბოლო ხეტიალის მსგავსია.

## **2.2. დრო-სივრცის ბიბლიური კონოტაციები ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“**

### **2.2.1. მნიშვნელობათა ჩამოყალიბების საკითხისთვის**

ოთარ ჭილაძის რომანში დრო განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი და ღრმა კონოტაციურ მნიშვნელობათა შემცველია.

მწერალი ქვეცნობიერში, ისტორიულ მეხსიერებაში ჩარჩენილ ხსოვნას აცოცხლებს და მოუწესრიგებელ, ფრაგმენტულ ინფორმაციას მორალურ-კულტურული მოწესრიგებულობის სახეს აძლევს. კონკრეტული სახის გრძნობადი ფენები კორელაციაშია ცნობიერების ინტელიგიბელურ შრესთან.

ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ დასერილია უამრავი სემანტიკური უნივერსალითა თუ სიმბოლური მნიშვნელობის მქონე საგნით, მოვლენით. კვლევისას ყურადღება მივაქციეთ დრო-სივრცის მოდელს, საკუთრივ სივრცისა და დროის კონცეპტებს. ასევე მათი მხატვრული განსახოვნების თავისებურებებს. ტექსტის ანალიზისას გამოიკვეთა დრო-სივრცის არქეტიპულ ბიბლიურ მოდელებთან გარკვეული მიმართება.

### 2.2.2. გზის სიმბოლიკა

გზის ცნება მსოფლიო კულტურულ უნივერსალიას მიეკუთვნება. მას დაუსაზღვრელი სემიოტიკური ველი გააჩნია. გზით სივრცე აითვისება, რომლის დროსაც პერსონაჟის წარმოსახვითი და რეალური გზების, პერცეფციული და აპერცეპციული დროების, ცნობიერისა და არაცნობიერის ღრმა შრეებში არსებული ხსოვნისა თუ ცოდნის ამოფრქვევა ხდება. იქმნება დრო-სივრცის ერთიანობის განცდა, რომლის ათვისებისას პერსონაჟი ახერხებს გამთლიანებას, მისი იდენტიფიკაციის პროცესი სრულდება.

ოთარ ჭილაძის რომანში გზის მნიშვნელობა დენოტაციური (გეოგრაფიული სივრცე, მატერიალურ-საგნობრივი) დონიდან კონოტაციურზე გადადის და ფარულ, ასოციაციურ მნიშვნელობათა ფართო სპექტრს აღმოაცენებს.

სადისერტაციო ნაშრონში წარმოდგენილია ქაიხოსროს, ანას, პეტრეს, გიორგას, ანეტას, მართას, ნიკოს, ალექსანდრეს გზებს შორის მსგავსება-განსხვავება. გზაზე გასვლით, გზის გავლით, მისი „ათვისებით“ პერსონაჟი იდენტობის ძიების პროცესში ერთვება.

შედარების მიზნით, აქვე განხილული გვაქვს ძველი აღთქმის პერსონაჟთა (კაენი, მოსე) მიერ განვლილ-ათვისებული გზების სიმბოლური და საკრალური მნიშვნელობა.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა პერსონაჟის ორიენტირი და ფუნქცია გზის სემანტემასთან მიმართებით განისაზღვრება, ანუ მათი განვლილი გზები განსხვავებულია. ქაიხოსროს მიერ განვლილი

გზა ლაბირინთული სტრუქტურისაა, რომელიც მისი ცხოვრების მეტაფორადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ლაბირინთში ხელოვნურად დაგრძელებული გზის მსგავსად, ქაიხოსროც არაბუნებრივად ცდილობს თავისი სიცოცხლის წლების გახანგრძლივებას. საკუთარ თავსა და წარმომავლობას გაქცეული მაიორი უგზო-უკვლოდ ხეტილობს. გარშემომყოფებსაც გზა-კვალს ურევს, რითაც უპერსპექტივობის, უგზოობის მძაფრ განცდას იწვევს.

გზის ინჟინერი, მიტო, როგორც სიმბოლური სახე, გზის კონოტაციებს აღმოაცენებს: ის გზას აგებს, გზის მაჩვენებელი და გზის მცოდნეა. მიუხედავად ასარჩევი და გასავლელი გზის უცოდინრობისა, ანეტა მაინც მიდის სახლიდან მიტოსკენ. ამ გზამ ანეტას, მართალია, ცხოვრება აურია, მაგრამ უკანაც მოაბრუნა. იქნებ ეს გარდაუვალიც იყო; მიტოსაც ხომ აერია მაკაბელების სახლამდე მისასვლელი გზა. მიტო და ანეტა სწორედ ამ საბედისწეროდ არეულმა გზამ დაუკავშირა ერთმანეთს.

ძმების (ნიკოსა და ალექსანდრეს) მიერ განვლილი გზები არაერთგვაროვანია. ალექსანდრეს გზა თითქოს არ არსებობს საერთოდ; მას არც საწყისი აქვს და არც დასასრული, როგორც კაცობრიობის ცოდვასა და მადლს. სიკვდილის სემანტემებით (ყვავი და ჩონჩხი) დასერილი სივრცისა და გზის დამღევაში ალექსანდრეს ძმის სიყვარული ეხმარება. ალექსანდრეს სახის სიმბოლური დატვირთვის განსაზღვრაში მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს ნიკოს სახე და მასთან დაკავშირებული სივრცული ასოციაციები.

### 2.2.3. ცის სიმბოლიკა

ცის კონოტაციური მნიშვნელობები ნაშრომში ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი. აქ განხილული გვაქვს ამ სახის არაერთი მნიშვნელობა. ცნობილია, რომ ცით სიმბოლიზებულია ტრანსცენდენტური, დაუსაზამო, ღვთაებრივი არსი. ვფიქრობთ, ნიკოს მუდამ „ცისკენ ყურება“ დაკარგული ედემის ძიებაზე მიუთითებს. მისგან განსხვავებით, ალექსანდრე, რომანის მიხედვით, „ყელამდე ტალახშია“. ძმის სამეზნელად წასვლა კორელაციაშია დაკარგული სამოთხის კვლავდაბრუნების სურვილთან, ღმერთის ძიებასთან. ამით ის საკუთარი არსისა და დანიშნულების ახსნას ახერხებს.

## 2.2.4. გომური

ეს ქვეთავი ეთმობა გომურის კონოტაციურ მნიშვნელობათა ახსნას. რომანში გომური საკრალური სივრცის დატვირთვის იძენს, რადგან აქ სიკვდილ-სიცოცხლე თანაარსებობაში (მკვდარი მამის ხსოვნა და ცოცხალი გიორგა) ერთმანეთს ხელს არ უშლიან, პირიქით, ისინი უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ. გომურის (ეს სახე საკმაოდ გამჭვირვალეა და ასოციაციურად მაცხოვრის დაბადების ადგილზე მიანიშნებს) სივრცე დადებით მნიშვნელობათა შემცველია და ქაიხოსროს ქვის „სარკოფაგს“ უპირისპირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ გომურში, როგორც საკრალურ სივრცეში, ქაიხოსრო ფეხს ვერ (ან არ) დგამს. აქ არ არის მისი სამომრათ არეალი.

გომური არა მხოლოდ მატერიალური გარემოა, არამედ ხსოვნაში განფენილი მიკრო მოდელი ვრცელი სამყაროსი, რომელიც გიორგას მიღმურ, სულიერ სამყაროში გადანაცვლებისა და მოგზაურობის საშუალებას აძლევს. ეს არის არაკანონზომიერად დარღვეული მამამკვილური სიყვარულის აღმდგენი და გამამთლიანებელი სივრცე.

## 2.2.5. პურის სემანტიკა

პური, არსებობის უპირველესი სუბსტანტი, შემცველია ყველა იმ სიკეთისა, რომელიც ადამიანს არსებობისთვის, სიცოცხლისთვის სჭირდება. ანას ხელით მიღებული პურის ნამცეცი სიცოცხლის, გადარჩენის წყაროდ ექცა ალექსანდრეს. სწორედ ამის შემდეგ გააცნობიერა მან ადამიანის დანიშნულება და თვითჩაღრმავების, ფიქრის, ანალიზის შედეგად იდენტობა აღიდგინა. მან, პურის მადლით აღვსილმა, სიყვარულის გზა სიმულვილისას ამჯობინა და ამიტომაც წავიდა ძმის სამეზნელად.

## 2.2.6. დროის სიმბოლიკა

დრო თავისი მახასიათებლებით კორელაციაშია გზასთან. სივრცე, დროსთან შედარებით, რეალობის თვითმჩენი მყარი სტრუქტურაა. დრო ადამიანისაგან სივრცეში გადაადგილებით აღიქმება, ანუ სივრცული ხატები დროის ცვალებადობას არეკლავს.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი გვაქვს ნეტარი ავგუსტინეს რეფლექსია დროსთან მიმართებით. ღვთისგან სამყარო დროსთან ერთად შეიქმნა. ადამიანი კი დროსა და სამყაროს შორის

მჭიდრო კავშირის დამტეგია. წრფეზე მოძრავი ქრისტიანული დრო (მოთოსური დროის მოძრაობა წრიულია) მესიის მოვლინებით იწყება და მეორედ მოსვლით (აპოკალისით) სრულდება.

ოთარ ჭილაძესთან გზას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. მისი გავლა პირველსაწყისთან დაბრუნებას ხმარდება, თუმცა გარკვეული სახეცვლილებით, განახლების პოტენციით. ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ადამიანის ცხოვრება დაბადებიდან სიკვდილამდე გასავლელი გზაა, რომლის საბოლოო შედეგი ამ გზის არჩევის მცდარობა-სისწორესა და ადამიანის ძალისხმევაზე დამოკიდებულია.

ქაიხოსრო „ჩართულია“ მხოლოდ მის მიერ შექმნილ მიკრო დროში, ჩაკეტილია ავტონომიურ სამყაროში. ამ კვაზიცხოვრების ამთვლელ-განმსაზღვრელი მაკაბელების სახლის კარადისხელა საათია, რომლის გაჩერებაც, ავტომატურად, ოჯახის ალფამამრის სიცოცხლის დასრულებას(გაჩერებას) იწვევს.

### 2.2.7. საათი

ამ ქვეთავში ნაჩვენებია, რომ მაკაბელების საათის სიმბოლიკაში ულმობლად წარმავალი დრო და გარდაუვალი სიკვდილის აჩრდილი იკვეთება. საათი რომანის პერსონაჟებს პერმანენტულად ახსენებს, რომ ამ ცისქვეშეთში მარადიული არაფერია, სიყვარულის გარდა. ქაიხოსრო თავისი ოჯახის საათის წიკწიკს საკუთარ გულისცემას უკავშირებს; მან ქვეცნობიერად იცის, რომ საათის ისრების გაჩერება მისი ამქვეყნად არყოფნის მაუწყებელი იქნება. პეტრიკელა ამიტომაც აღარ დაქოქავს გაჩერებულ კარადისხელა საათს და გასაღებს შორს გადაისვრის. ამით მას სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს მამისთვის და ოჯახის ბელადად, წინამძღვრად, თავისი თავის დეკლარირებას (ფარულად, მაგრამ მაინც) ახდენს.

### 2.2.8. მამალი

ტექსტში მამალი რამდენჯერმე გვხვდება. არსებულ რეალობას გიორგა გაურბის მას შემდეგ, რაც ურმის კოფოზე ჩამომჯდარ თვალეზბრიალა მამალს დაინახავს. მამალი საბედისწეროდ ყივის გიორგას სიკვდილამდე, თითქოს ქვეყნის გამოფხიზლებას ცდილობდეს. გიორგას თათარი მამლის ყივილამდე კლავს (მაცხოვარი პეტ-

რემ მამლის ყვილამდე სამგზის უარყო). მამლის ყვილი ის საბედისწერო ნიშანია, რომელიც გიორგას მამისეული სახლისკენ და სიკვდილისკენ აბრუნებს.

### 2.2.9. ირემი

ირემი სიმბოლოა დიდი, მოუთმენელი სურვილისა, რომელიც ბიბლიიდან გავრცელდა (კერძოდ, ფსალმუნი: 41,2). რომანის მიხედვით, ირემი სოფელ ურუქს გარდაცვალებული გიორგას სულის სახით ევლინება, თუმცა სოფელი მას ვერ იღებს და სიცოცხლესაც გამოასალმებს. მეტაფიზიკურ სივრცეში განფენილ ანას სულს კიდევ ერთგზის ევლინება გიორგას სული, რათა დედაშვილური სიყვარული სამარადქამოდ განიფინოს უსივრცო მარადიულობაში.

### 2.3. ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ სათაურის სემიოტიკა

დისერტაციის ამ პარაგრაფში საუბარია ოთარ ჭილაძის რომანის („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“) სათაურის სემიოტიკურ ასპექტებზე. სათაურს საკრალური დატვირთვა აქვს: მასში გაცხადებულია ბიბლიური პარადიგმა კაენისა და მისი მოდგმისა. მკვლელის არქეტიპს მარადიულად სდევს შიშით გამოწვეული ძრწოლა იმის გამო, რომ მის მიერ ჩადენილი ცოდვა, ღვთის გულმოწყალების მიუხედავად, შეუწყნარებელია.

ქაიხოსროს ცხოვრების გზის პერიპეტიები, კაცთმოძულეობითა და უსიყვარულობით ნასაზრდოები, კორელაციაშია კაენის სამუდამოდ შიშნაჭამ, სიკვდილდანასუნთქ სიცოცხლესთან. კაენ-ქაიხოსროსთვის ესენციალური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა შემხვედრი შეიძლება მისი მკვლელი იყოს.

ამ პარაგრაფში ყურადღებაა გამახვილებული დევნის კონცეპტზე. ქაიხოსრო გიორგას, ანას, თათრის, ბაბუცას, ნიკოს არაპირდაპირი მკვლელია. ნებისმიერი ურთიერთობა, რომელიც ქაიხოსროს 5 ლიტრა სისხლს გაქრობით ემუქრება, მაიორის მხრიდან უარყოფითი, დამაბული ემოციით აღიქმება და განიცდება. ლაჩრობით გამოწვეული დანაშაულის (თათრის გადამტერების ჩათვლით) გადასაფარავად, ქაიხოსრო მაკაბელი გიორგასა და ანას სიყვარულით შეკოწიწებულ სივრცეს თავისი სიკვდილის ლანდებით აბნელებს



და სიცოცხლეს აცლის. თავის გერს, გიორგას, პირდაპირ თუ შეფარვით შთააგონებს, ავალდებულებს, რომ მის მაგივრად სამსხვერპლო ჭურჭლად იქცეს, თათრის სამაგიეროს გადახდის ობიექტი გახდეს. ქაიხოსროს ცოდვილ სიცოცხლეს უდანაშაული გიორგას სიკვდილი სჭირდება.

რომანში ზოსიმე მღვდლის პირით ეცნობება ქაიხოსროს თავისი „დიდი წინაპრის“ სიტყვები; მღვდელი ბიბლიურ გარდაუვალობას ახსენებს კაენ–ქაიხოსროს, მაგრამ თავის ე. წ. სულიერ შვილს სინანულში ვერ აგდებს. სამწუხაროდ, მასში კაენის სული მძვინვარებს ბოლო ამოსუნთქვამდე.

დისერტაციის ამ პარაგრაფში ასევე ნაჩვენებია პეტრეს ვაჟების, ალექსანდრესა და ნიკოს, კონტრავერზა. ალექსანდრეში აღზევდა წინაპრის გენი და ის მახინჯ მაროსთან ურთიერთობით სიმახინჯეს დაუწყვილდა; ამით მან თითქოს სამყაროს, სიკეთის წინააღმდეგ გაილაშქრა. ალექსანდრე ქაიხოსროს გვამის მოპარვით ფიქრობს, რომ სათავის, ჯიშის განწმენდას შეძლებს. ზოსიმე მღვდელს ეუბნება: „არ არსებობს, მამაო, ჩემთვის მიტევება“ (ჭილაძე 1981: 376). ფაქტობრივად, ალექსანდრე ამით კაენის სიტყვებს იმეორებს.

მწერლის ხედვის პერსპექტივა მიმართულია ალექსანდრეს მიერ გადარჩენილი მართასკენ. სწორედ მართა ეხმარება ბიძას, გაერკვეს თავის სულიერ მდგომარეობაში. მართა, როგორც ქალი, როგორც სიცოცხლის მიმცემი და მომპატრონებელი (მიუხედავად თავისი პატარა ასაკისა), იმპლიციტურად ოჯახში დამბრუნებლის ფუნქციას იძენს. ის არის ამ ოჯახის სიმყრალის, ბოროტების სიკეთით გამნიავებელი და მაკაბელთა ჯიშისა და გენის გადამრჩენელი, სასიკეთოდ შემცვლელი.

### თავი III

#### „ძე შეცთომილის“ მოდელები

#### 70-იანი წლების რომანში

დისერტაციის ეს თავი სამი პარაგრაფისაგან შედგება, რომლებშიც წარმოდგენილია უძლები ძის ბიბლიური მოდელის მხატვრული ტრანსფორმაცია ოთარ ჭილაძის („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“), გურამ დოჩანაშვილისა („სამოსელი პირველი“) და ნოდარ დუმბაძის („მარადისობის კანონი“) რომანებში.

### 3.1. ალექსანდრე – უძღვები შვილი

(ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“)

დისერტაციის ამ პარაგრაფში განხილული გვაქვს ალექსანდრეს განვლილი გზა, მისი ცხოვრება, რომელიც გარკვეული ნიშნულით სახარებისეული „უძღვები ძის“ იგავის რემინისცენციას წარმოადგენს. სახარებისეული უძღვები ძისა (ლუკას სახარება, მე-15 თავი) და ალექსანდრეს მსგავსება კონოტაციურ დონეზე იკითხება. მამის წიაღიდან წამოსული ალექსანდრე – ძე შეცთომილი გზადაბნეული და გაბოროტებულია. ის სიძვის ცოდვით ცხოვრობს მახინჯ მაროსთან, რომელსაც თავისი უმანკობა ვიღაცისთვის გათხრილ საფლავეში აქვს დასამარებული. ადგილი, სადაც ისინი ცხოვრობენ, ღვთისაგან მიტოვებული სივრცის განცდას ქმნის. გარესივრცემოშლილ ალექსანდრეს შინაგანი ჰარმონია, ჰომოგენურობა ერღვევა.

ალექსანდრეს დაბრუნება მამის წიაღში მის მიერ განვლილი გზის ტრაექტორიის შესაბამისად ხდება; ამიტომაცაა ალექსანდრე-უძღვები ძის მიერ განვლილი გზის კონცეპტუალური ველი მასშტაბური და პოლისემიური. ქრისტიანობაში გზის მიმართულების ვექტორი წარსულიდან მომავლისკენაა მიმართული. ციმბირის გზებზე (ძმის, ნიკოს, სამეზნელად წასვლისას) ალექსანდრე სწორედ ამ ტრაექტორიით მოძრაობს. ამ გზამ ალექსანდრე მაკაბელს ფიზიკური თუ სულიერი დაბრკოლებები გადააღახვინა, ტანჯვის გზით სულიერი სიმწიფე მოაპოვებინა.

გზის უჰორიზონტობა (ჰორიზონტი მამინ გამოჩნდა, როცა წარსული გააანალიზა), უსასრულობა (წარსულის ლაბირინთში გაჩხერილმა თავი დააღწია ბაბუის მიერ წამოწყებულ დაწყევლილ ცხოვრებას) ალექსანდრეს უმთავრეს კითხვებზე გააცემინებს პასუხს. გზის ათვისებით ის იდენტობას აღიდგენს და აცნობიერებს თავის მთავარ დანიშნულებას. ციმბირისკენ მიმავალი გზა ასოციაციურად უკავშირდება ღვთის სასუფეველში მიმავალ ვიწრო და ძნელად სავალ ბილიკს და, შესაბამისად, ძმების, ალექსანდრესა და ნიკოს დარღვეული, დამამორებელი გზების შემკრები და გამაერთიანებელია.

გზა, რომელსაც ალექსანდრე მამისეული სახლიდან (ამ კონცეპტუალურ ველში ის კაენია) ციმბირამდე (ალექსანდრე აქ უძღვები შვილია) გაივლის, მისი კათარზისის გზაა. ძმის სიახლოვის შეგრძნებით მასში დანაწევრებული, დასახიჩრებული ადამიანი აღ-

დგება. გზის ბოლოს ალექსანდრე უკვე ანტიმაკაბელია. ქაიხოსროსგან განსხვავებით, მას „სიკვდილის კი არ ეშინია, არამედ სიცოცხლის“ (ქილაძე 1981: 447).

აქვე განხილული გვაქვს თოვლის სემანტიკა და თეთრი ფერის სიმბოლური მნიშვნელობები. თეთრი ფერს ასოციაციური დატვირვა ენიჭება, რომელიც ღმერთს, სიკეთეს, სიცოცხლეს, ყოფიერების სისავსეს განასახიერებს. აღსანიშნავია ის, რომ ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ თეთრი ფერის სიმბოლიკა დადებითთან ერთად უარყოფით მნიშვნელობას შეიცავს. ციმბირის თოვლით გადათეთრებულ სივრცეში ძმისკენ სვლა ერთი მხრივ, ალექსანდრეს სულის განწმენდას, სინანულს, შინაგანი სინათლის ამოფრქვევას უკავშირდება, მეორე მხრივ კი, შიშის, სიკვდილის მოლოდინს ათვალსაჩინოებს.

### 3.2. დომენიკო – უძღები შვილი

#### (გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“)

ამ პარაგრაფში ნაჩვენებია, როგორ ხდება აღნიშნულ რომანში „ძე შეცთომილის“ იგავის მხატვრული ტრანსფორმაცია და მისი შემადგენელი ელემენტების გარდაქმნა მხატვრულ სახეებად. გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“ სააზროვნო მოდელების სახით ერთდროულად გვხვდება ძველი და ახალად-თქმისეული ღრმა საკრალური დატვირთვის მქონე თქმულებები.

თ. ოთხმეზურისა და გ. ბერიძის თვალთახედვით, დომენიკოში ცნაურდება ძე შეცდომილიცა და იესო ქრისტეც. ვფიქრობთ, იესო ქრისტე ვერ იქნება დომენიკოს არქეტიპი. დომენიკოს წინარესახე მაცხოვარი კი არა, ადამი უფროა, რომელიც თავიდან ღვთაებრივი სულის მატარებელი, სახე და ხატი შემოქმედისა, თავად ღვთის მიერ იყო ხელდასხმული. უფალმა მისი „მზრძანებლად“ ქცევა თავად იწება. ცოდვით დაცემისას კაცობრიობას პირველ ადამიანს ეს პატივი ჩამოერთვა.

დომენიკო – ძე შეცთომილი, მამისეულ სახლში არსებული სიკეთეების მიუხედავად, მაინც ტოვებს მშობლიურ, ბუნებით საცხოვრისს და საკუთარი არსის შესაცნობად თუ ინტერესის დასაკმაყოფილებლად მისთვის უცხო გზას ადგება. ეს გზა თავისი სივრცული თუ დროითი განზომილებით გურამ დოჩანაშვილის რომანში დომენიკოს იდენტობის აღმდგენად არის წარმოდგენილი.

დომენიკო უძღები მის ინიციაციით მოქმედებს. მიუხედავად ბევრი გაჭირვებისა, ის აცნობიერებს თავისი განვლილი გზის უშედეგობას და გულწრფელი მონანიებით, ცრემლთა ღვრით ცდილობს მამის სიყვარულის დაბრუნებას, ღვთისძეობის პატივის აღდგენას. დომენიკოსთვის მამის წიაღში დაბრუნება კორელაციაშია ღმერთთან დაბრუნებასთან. პირველსაწყისთან, უზენაესთან სიახლოვე, სიკეთისკენ სწრაფვა დომენიკოს ზნეობრივ სრულყოფას ემსახურება. დომენიკო საწყისიდან, როგორც მიზეზიდან დაბლა დაშვების შემდეგ, არსის საფეხურების თანდათანობით უკუსვლითა (ლამაზ-ქალაქი-კამორა-კანუდოსი) და ამაღლებით (მაღლა სოფელი) საწყისს (მამას) უერთდება და ერწყმის. გზაზე დაძლეული წინააღმდეგობები მის სულიერ განვითარებას ემსახურება და ამის ფონზე გარდაქმნა-განახლება მისი სრულყოფის იდეას ისახავს მიზნად.

აქვე განხილული გვაქვს სამოსელი პირველის სიმბოლური მნიშვნელობა. დომენიკოსთვის სამოსელი პირველის (ნათლის შესამოსლის) ბოძება დახშული სამოთხის კარის გახსნის ხელახალ რემინისცენციად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, დომენიკო ამ რომანში სინანულის გზით შეცნობის გზაზე დამდგარი კაცობრიობის სიმბოლოა.

### **3.3. უძღები მის ოდისეა**

#### **(ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“)**

##### **3.3.1. ტოტალიტარიზმის ახალი ღმერთი და ადამიანის სულის დესტრუქცია**

ადამიანი, უფლის მიერ შექმნილი სამყაროს გვირგვინი, ტოტალიტარულ სახელმწიფოში უკიდურესად დამდაბლებულია. ადამიანი შეიპყრო ეგზისტენციალურმა შიშმა. ყოფიერების სიცარიელემ საღვთო მორალი განდევნა. უპიროვნო კოლექტივში (მასაში) სულიერების წილ კლასობრივმა იდეოლოგიამ გაიდეა ღრმა ფესვები. სოციალიზმის იდეურ-პოლიტიკური პრინციპის თანახმად, სახელმწიფო აქტიურად ერეოდა ადამიანის პირად ცხოვრებაში; აზროვნება დეტერმინირდა იდეოლოგიური კლიშეებითა და დოგმებით, კოლექტივი დეპერსონიფიცირდა. კომპარტიის გენერალური მდივნის პირით „გაცხადებული“ აბსურდული ფრაზეოლოგია ღვთიური სიტყვის ტოლფასი იყო; ის უდავო, ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა.

ამ პერიოდში მწერალთა კავშირი (ძირითადად) კომუნისტური იდეოლოგიის გამტარებელ ორგანიზაციას წარმოადგენდა. სტალინის დეფინიციით, „მწერალი ადამიანის სულის ინჟინერი“, ანუ იდეოლოგიაზე მორგებული მასების მქადაგებელ-განმანათლებელი უნდა ყოფილიყო. მწერლობას და ზოგადად ხელოვნებას, საკუთარი ავტონომიური ფუნქციის შესრულების ნაცვლად, ცხოვრებისა და ადამიანის გარდაქმნა დაევალა.

ყველაზე მძაფრი ხასიათი ანტირელიგიურმა პროპაგანდამ მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების იდეოლოგიური წნეხის ამ მიმართულებამ განსაკუთრებული გავლენა იქონია ადამიანის ფსიქო-სომატურ მდგომარეობაზე, რის გამოც წარმოიქმნა ტრავმა, რომლის კვალი აშკარად იკითხება პოსტსაბჭოთა რეალობაშიც. ტოტალიტარიზმის პირობებში სულიერების ნგრევის ვირუსმა ადამიანის ჰერმეტიკულ სტრუქტურებშიც შეაღწია.

### 3.3.2. ბაჩანა რამიშვილის სულიერი ოდისეა

ნოდარ დუმბაძის რომანში „მარადისობის კანონი“ ადამიანის ბაზისურ საწყისს, უფლის ძიებას, ებრძვის ღვთისმებრძოლეობა. კომუნისტური იდეოლოგიისთვის ქრისტიანული რელიგია ფიქცია და სიმულაცია იყო.

რომანის დასაწყისშივე ბაჩანა რამიშვილის მიწიერი მშობლების კვალი გამქრალია. რეჟიმის სისასტიკით რეპრესირებული დედ-მამის არყოლა ბაჩანაში ზეციური მშობლების გარეშე დარჩენას განაპირობებს. პროტაგონისტს აკლია შინაგანი ერთიანობა, ჰომოგენურობა, რომელიც სულიერ სიმშვიდეს განაშორებს და ფიზიკურადაც ანადგურებს. მისი სხეულის სტატიკური მდგომარეობა (ინფარქტის დროს) კორელაციაშია სულიერ მდგომარეობასთან.

მწერალი თხრობისას ათვალსაჩინოებს, რომ თუ ბაჩანას ბავშვობასა (წარსული) და ზრდასრულ ასაკთან ტრანსგრესია არ მოხდა, ის ვერ გამოთლიანდებოდა. უზენაესთან დაკარგული კომუნიკაცია ფიზიკური უძლურებით გამოიხატა და მისი ლეთარგიული ხილვები, მოგონებების „კიბით“ გადაადგილება ბაჩანა რამიშვილს საკუთარ თავში, ხსოვნაში აბრუნებს. წარსულის რეტროსპექტული ანალიზისას მის ტვინში არსებული დახშული სივრცე მოულოდნელად ირღვევა და ის ძე შეცთომილისთვის შესაფერისი ჩაფიქრების, განჭვრეტის, სინანულის, აღსარების გზაზე დგება.

სიზმარში უფლის გამოცხადების წყალობით, ბაჩანა თავის თავ-დაპირველ სულიერ მდგომარეობას უბრუნდება და ხვდება, რომ მას არსებული რეალობა კი არ უნდა უყვარდეს, არამედ მომავალში განსახორციელებელი, რაც მას გადაარჩენს, მისი დაშლილი სულის გამთლიანებას მოახდენს.

ბაჩანასათვის მაცხოვრის გამოცხადება იქცა ჭეშმარიტი მორა-ლისა და აზროვნების დასაწყისად. გონების დამაბვამ შინაგანი ძა-ლებისა და რესურსების შეკრება-კონცენტრირება გამოიწვია. და-ბინძურებული ცნობიერება და აზროვნება, ამ სულიერი ოდისეის წყალობით, კლიშეებისა და სტერეოტიპებისაგან განიწმინდა. ბაჩა-ნამ აღიქვა მის მიერ განვლილი ცხოვრების დამაკნინებელი და და-ავადებული მხარეები და შეაფასა რეალობა, რის წყალობითაც ნა-თელი მოეფინა მისი კოროზირებული სულის სიბნელეს. წარსუ-ლის გადახედვით, განვლილის გაანალიზებით ბაჩანა რამიშვილში გამრუდებული ცნობიერება გაადამიანურების პროცესით ჩანაც-ვლდა და ის ძე შეცთომილად იქცა.

### 3.3.3. სიზმრები

სიზმრების ხვედრითი წილი რომანში მნიშვნელოვანია და მათ აქსიოლოგიური დატვირთვა გააჩნია. მაცხოვართან სიზმარში პაე-მანით ბაჩანა რამიშვილს ქვეცნობიერი აზროვნება ჩართავს საკა-ცობრიო ცოდვაში; ისიც კაცობრიობის დანაშაულის ერთ-ერთი წევრი ხდება და ადამის მოდგმასთან ერთად ბაჩანას სული ცდი-ლობს ამ უმძიმესი ცოდვის გააზრებას და მონანიებას. ბაჩანას სიზ-მარი, კიუნგის ტერმინს თუ ვიხმართ, კოლექტიური არაცნობიე-რის გამოვლინებაა. ის თავისი არქაული წინაპრების ცოდვათა მზიდველია.

ბაჩანას ბოლო სიზმარი საყვარელ ქალთან, მარიამთან, შეხვედ-რაა. ბაჩანას სატრფო, ვფიქრობთ, კორელაციაშია სახარებისეულ მა-რიამ მაგდალინელთან, რომელმაც მაცხოვარს სამუდამო სიყვარუ-ლი შეჰჰვცა. ბაჩანას სატრფოც, ანონიმური წერილის მიხედვით, „თბილისელი როსკიპების რეპეტიტორი, მრუში დედაკაცია“ (დუმ-ბაძე 1989: 701). ბაჩანას სიყვარული ასპეტაკებს მარიამს და მისი სულიცა და სხეულიც კათარზისს განიცდის. „მე დავრჩები მარა-დიულ სიყვარულში...მე აღარ მეშინია სიკვდილის“, – აღმოხდება შეყვარებულ ქალს (დუმბაძე 1989: 705).

ვფიქრობთ, ბაჩანას არაცნობიერში დალექილი რეპრესირებული აზრები და სურვილები სიზმართა მატრიცად გარდაიქმნება. სიზმრებში ცნაურდება, რომ ბაჩანას წარსული დამსხვრეული სარკისგან შევოწიწებულ კალიედოსკოპს ჰგავს. უხილავი ძალა ამ ნამსხვრევებს ამთლიანებს. ეს ყველაფერი კი კორელაციაში მოდის ბაჩანა რამიშვილის – ძე შეცთომილის – სულიერ-ფიზიკურ განახლებასთან, გაცოცხლებასთან.

### 3.3.4. დრო და მარადისობა

დისერტაციის ამ ქვეთავში განხილული გვაქვს დროისა და მარადისობის ურთიერთმიმართების საკითხი. მარადისობა, ფიზიკური დროისაგან განსხვავებით, თავის თავში არ მოიცავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ის სამივე ქრონოსის თანადროულობაა. მარადისობა დროის უსასრულო ოდენობადაა დასახელებული, ანუ მარადისობა უსასრულოდ ხანგრძლივი, დაუსაზღვრელი, დაუნაწევრებელი დროის სინონიმია.

აქვე მიმოვიხილეთ პლატონისეული და ნეტარი ავგუსტინისეული დეფინიციები დროისა და მარადისობის თანაფარდობასთან მიმართებით.

ტექსტის მიხედვით, ბაჩანას უწევს იმ რეალობაში ცხოვრება, რომელშიც დრო და მარადისობა ერთსა და იმავე სიბრტყეზეა (რაც აბსურდია). სიზმრების წყალობით, პროტაგონისტი აგნებს ე.წ. „შინაგან დროს“ და ამ დროში ჩადრმავებით, მომხდარის განსჯით, გადაფასებით ასტრონომიულ დროში ფიქსირებული მოვლენების გაშიშვლებას ახერხებს. ბაჩანა თავის დაკარგულ, გაუცხოებულ „მეს“-თან ბრუნდება, რითაც უახლოვდება კიდევ ღვთაებრივ საწყისს. ბაჩანა რამიშვილი – უძღები ძე – სიზმრების წყალობით შინაგან სამყაროში იწყებს მოძრაობას და აზროვნების ლაბირინთში შემონახული ხსოვნის ელემენტები ნათელს ჰფენს საკუთარი არსების გაანალიზებისა და სამყაროს შემეცნების პროცესს.

მარადისობის კანონის აღმომჩენი ბაჩანა – ძე შეცთომილი – ხვდება, რომ „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული“ (დუმბაძე 1989: 715).

## თავი IV

### ბიბლიური კონოტაციები

#### (ჯემალ ქარჩხაძის „მდგმური“)

##### 4.1. დაკარგული სამოთხის კონცეპტი

ჯემალ ქარჩხაძის რომან „მდგმურში“ მისტიკურ-ფანტასტიკური პლასტის პარალელურად ბიბლიური ისტორია ვითარდება. ტექსტის დენოტაციურ სიბრტყეზე იკითხება რეალური ადამიანის – მდგმურის – თავბრუდამხვევი, შეცდომებით, ცდუნებებით აღსავსე გზა, ხოლო ტექსტის კონოტაციურ ველში საკრალური აზროვნებით გაჯერებული სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობები (ადამის ცოდვით დაცემა, სამოთხეში ყოფნის პატივის დაკარგვა, სამუდამო განსაცდელი, მონანიება..) თვალსაჩინოვდება.

მდგმურის მიერ განვლილი გზა წმინდა წიგნის ერთგვარ რემინისცენციას წარმოადგენს. ამიტომაც რომანის მთავარი სათქმელის სრულყოფილად შესაცნობად, მიზანშეწონილად მივიჩნით მისი ბიბლიური ასპექტით გააზრება. რომანის იმპლიციტური შინაარსი, შინაგანი თემა (ტ. სილმანის ტერმინით) სიგნიფიკატორული მნიშვნელობით მიუთითებს მდგმურის პირდაპირ კავშირზე ბიბლიური ადამის დაცემასთან. თავების ეპიგრაფები, – წმინდა წიგნებიდან ტექსტებდამოწმებული, – ათვალსაჩინოებს ავტორის მიზანსწრაფვასა და ჩანაფიქრს, რომ ბიბლიური ისტორიები მარადიულია და ყველა დროსა და სივრცეში მეორდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მდგმურს სახელი არ აქვს. მისი სახელია „ადამიანი“; მასშია თავმოყრილი, გამთლიანებული, განზოგადებული მთელი კაცობრიობა თავისი ცოდვა-მადლით.

ჯემალ ქარჩხაძე რომანში ბიბლიური ტექსტის საზღვრებს აფართოებს და მდგმურის ცხოვრების მაგალითზე „დაბადებიდან“ (ადამიდან) ახალი აღთქმის ძე შეცთომილამდე რეტროსპექტულად წარმოგვიდგენს მოვლენებს. ბიბლიის მხატვრული ტრანსფორმაციით რეციპიენტი კიდევ ერთხელ ადევნებს თვალს კაცობრიობის ცოდვით დაცემის ისტორიას დასაბამიდან დღემდე.

მდგმურისა და ირინეს ურთიერთობა არის სქესთა გარეგნული შეერთება, მაკას სიყვარულით მდგმურმა საკუთარ თავში სამოთხე დაიტია. მაკასგან (ღვთაებრივი სიკეთისგან) უნდა „მოზილიყო“ მდგმური (უცოდველი ადამი) ირინესგან (ევასგან) დაცემული.



მდგმურმა ბოროტისა და კეთილის ცნობადის ხის ნაყოფი იგემა (სიმბოლურად) და გააცნობიერა თავისი სულიერ-ხორციელი „სიშიშველე“.

მდგმურმა თავისი ცხოვრების გზაზე განიცადა რეალური და ილუზორული ღირებულებებით გატაცება. როგორც მოსალოდნელი იყო, მისი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე (არც მაკასთან, არც ირინესთან ურთიერთობის დროს) ეს ორი ღირებულება არ თანაარსებულა. „ორთა უფალთა მონების“ სურვილმა მისი დემორალიზება გამოიწვია. ვფიქრობთ, მდგმურის ტრაგედიის მიზეზი ის იყო, რომ ეს აქსიომური აპოფთეგმა („ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონება“) ცდუნებით დაბრმავებულმა ადამიანმა ვერ გაითვალისწინა.

რომანის ფინალში მდგმური იწყებს ყველაფრის გადასინჯვას, სულის ბნელი ხვეულების მოხილვას; მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც სწორ არჩევანს აკეთებს და რომანის ბოლოს იმედიანი მომავლის მომლოდინე, სულშეხუთული მდგმურის სულიერ-ხორციელი პორტრეტი იხატება. ის საბოლოოდ ადის „მთასა უფლისასან, უბრუნდება თავის შემქმნელს, ვითარცა ძე შეცთომილი და საბოლოოდ და სამარადჟამოდ აცნობიერებს, რომ მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარული გადაარჩენს.

#### 4.1.1. გზისა და დროის სიმბოლიკა

დისერტაციის ამ პარაგრაფში განხილული გვაქვს გზის სიმბოლო, რომელიც თავისი მისტიკური მნიშვნელობით შესაბამისობაშია ადამიანის ღმერთთან, კოსმოსთან დამოკიდებულებასთან. მდგმურის სივრცული მოდელი ძირითადად ჰორიზონტალურია, სადაც იკვეთება მისი დამარცხება თუ დროებითი გადარჩენის პერსპექტივები.

რომანის დასაწყისში მდგმურის გზა ქვევიდან ზევით (მაკას სახლი აღმართხეა) მიემართება. გზის ვერტიკალური ტრაექტორია მისი სიყვარულის არსს ათვალსაჩინოებს. მაკასთან ურთიერთობა მისი სულიერი სრულყოფისკენ, ამაღლებისკენ, ღმერთისკენა მიმართული. ირინესთან მისი განვლილი გზა კი ან სწორხაზოვანია, ან „ოღროზოდრო“. ფაქტობრივად, მდგმურის ფიქრებსა და ხვეულებში იშლება კაცობრიობის დაღუპვის მისტიკური სურათი – ადამის ცოდვის ევაზე გადაბრალება. მდგმურის რეფლექსია და სკეფსისი ასოცირდება ადამის ცოდვით დაცემის ეპიზოდთან. მდგმურის ფიზიკური მოძრაობა ნიშნავს მის მოქმედებას; ის ითვი-

სებს გარშემო არსებულ სამოქმედო გარემოს, რაც ასოციაციურად წააგავს ადამის მცდელობას – სამოთხეშივე მიეტევოს ჩადენილი.

